საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

№ 15 (6730) 18 ივნისი ოთხშაბათი 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოიწერეთ «ლეჩხუმი»

მიმდინარეობს ხელმოწერა გაზეთ „ლეჩხუმზე" 1997 წლის მეორე ნახევრისთვის. გაზეთზე ხელმოწერის ფასია 4 ლარი. ხელმოწერა შეგიძლიათ გააფორმოთ „ლეჩხუმის" რედაქციაში (ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა 9 საათიდან 18 საათამდე) ან შესაბამის სოფლის საფოსტო განყოფილებაში.

იჩქარეთ, ხელმოწერა შეზღუდულია.

გაზეთ „ლეჩხუმის" რედაქცია.

## იმსჯელეს... მთავრობის დონეზე

უკანასკნელ ათწლეულში მომხდარი მოვლენების შედეგად უჭირს ქვეყანას, მოსახლეობას, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველ ფენას. პენსიონერებს, გვიანდება ხელფასების, პენსიების, დახმარებების გაცემა. ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში გატარებული რეფორმის შედეგად ექიმი, სამედიცინო პერსონალი მოწყდა ავადმყოფს, მოსახლეობას. ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ გატარებული ღონისძიებების მიზანიც ის არის, რომ ამოივსოს ეს ხარვეზი. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სისტემა იდგეს მოსახლეობის ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურში.

12 ივნისს ძვირფასი სტუმრები ეწვია რაიონს. ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ბატონი ავთანდილ ჯორბენაძე, შრომის, სოციალური დაცვის და დასაქმების მინისტრი ბატონი თენგიზ გაზდელიანი, სახელმწიფო ქონების დაცვის მინისტრი ბატონი ავთანდილ სილაგაძე, კონტროლის პალატის კონტროლის დეპარტამენტის თავმჯდომარე ბატონი კოკი კუტუბიძე პრეზიდენტის რწმუნებული რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ბატონი თედო ისაკაძე. მათ დაათვალიერეს დედათა და ბავშვთა მშენებარე დიაგნოსტიკური ცენტრის მშენებარე ობიექტი.

12 საათზე სარაიონო კულტურის სახლში გამართულ თათბირში სტუმრებთან ერთად მონაწილეობდნენ რაიონის წარმოება-ორგანიზაციათა, ჯანმრთელობის, კულტურის, განათლების სისტემის, სოფლისა და საქალაქო გამგეობათა მუშა-მოსამსახურეები, რაიონის აქტივი.

თათბირში მონაწილეობდნენ მხარეში შემავალი ონის, ამბროლაურის, ლენტეხის რაიონების ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ხელმძღვანელი მუშაკები.

თათბირი მიყავდა რაიონის გამგეობის თავმჯდომარეს ბატონ კარლო კვირიკაშვილს.

თათბირის დღის წესრიგში იდგა საკითხი რაიონში ჯანმრთელობის დაცვის რეფორმის მიმდინარეობის შესახებ. ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე გააკეთა ჯანმრთელობის დაცვის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორმა მურმან თოთაძემ.

სიტყვებით გამოვიდნენ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ჯანმრთელობის დაცვის რეგიონული ცენტრის დირექტორი ამირან მურუსიძე, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე ომერ ბაბლუანი, ცაგერის საშუალო სკოლის დირექტორი მანანა გორგასლიძე, კურორტ „ლაშიჭალის" დირექტორი მერაბ ბურჯალიანი, ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე სარდიონ ფუტკარაძე, ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი კვირიკაშვილი.

თათბირზე სიტყვები წარმოთქვეს ქვეყნის პრეზიდენტის რწმუნებულმა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ბატონმა თედო ისაკაძემ, ცაგერის რაიონული გამგეობის თავმჯდომარემ ბატონმა კარლო კვირიკაშვილმა.

თათბირზე შეკრებილთა მიერ დასმულ საკითხებზე ინფორმაციებით გამოვიდნენ: სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი ბატონი ავთანდილ სილაგაძე, სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მინისტრი ბატონი თენგიზ გაზდელიანი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ბატონი ავთანდილ ჯორბენაძე.

თათბირზე აღინიშნა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით საჭირო შეიქმნა ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში რეფორმის გატარება.

როგორც მთელს ქვეყანაში, ისე ჩვენს რაიონში, რეფორმა დაიწყო და ეტაპობრივად მიმდინარეობს. 1995 წლის აგვისტოდან დღემდე გავლილია რეფორმის ორი საკმაოდ რთული და მძიმე ეტაპი. მიმდინარეობს დარგის რეორგანიზაციის მესამე ეტაპი. რაიონში განხორციელდა რეფორმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება. კერძოდ, შემუშავდა ტიპიური წესდებები და რეგისტრაცია გაიარა დამოუკიდებლად 17-მა სამედიცინო დაწესებულებამ, მათ შორის აკრედიტაცია გაიარა და დამოუკიდებელ სამეურნეო ანგარიშიან დაწესებულებად ჩამოყალიბდა შვიდი. ესენია რაიონული საავადმყოფო, რაიონული პოლიკლინიკა, საავადმყოფო ამბულატორიული გაერთიანება (ლაჯანის), სამი სოფლის ამბულატორია და ერთი ჯანპუნქტი. მართალია, ვერ მოხერხდა ყველა ამბულატორიის აკრედიტაცია, მაგრამ მოხდა მათი შენარჩუნება პირველადი სახით და დამსხვილება უკვე აკრედიტირებულ ამბულატორიებთან და პოლიკლინიკასთან. მოხდა ყველა თანამშრომელთან ხელშეკრულების გაფორმება. რაიონში შეიქმნა ჯანდაცვის საკოორდინაციო ცენტრი მუნიციპალური ფონდით.

ყველა რეფორმა მტკივნეულად და ძნელად მიმდინარეობს, განსაკუთრებით კი ჯანმრთელობის სისტემაში, რადგან მოსახლეობა ძალზე დაბალგადახდისუუნარიანია და ძნელად ეგუება მკურნალობისთვის დაწესებული თანხის გადახდას. განსაკუთრებით კი მდგომარეობა გაართულა თანაგადახდის პრინციპის შემოღებამ, რის შედეგადაც მკვეთრად შემცირდა დატვირთვის მაჩვენებლები როგორც სტაციონარში, ისე პოლიკლინიკა-ამბულატორიებში. მოყვანილი იქნა ასეთი სტატისტიკა: თუ 1995 წელს საავადმყოფოში 95[illegible] ავადმყოფი იყო, 1996 წელს გატარებულ ავადმყოფთა რაოდენობა შემცირდა 603-მდე. აქედან 70 პროცენტი მოდის ფედერალურ პროგრამაზე, 23 პროცენტი მუნიციპალურზე და მხოლოდ 7 პროცენტი შიდა სტანდარტებზე.

წლეულს მუნიციპალური ფონდი რაიონში შეადგენს 41 ათას ლარს (ერთ სულზე 2,5 ლარი). ამ თანხის 60 პროცენტი 24600 ლარი განკუთვნილია სტაციონარული პროგრამისთვის. ეს არის 50 პროცენტიანი თანაგადახდის პირობებში. რაიონის გამგეობის და მისი თავმჯდომარის კარლო კვირიკაშვილის ინიციატივით და გამგეობის გადაწყვეტილებით სტაციონარული მუნიციპალური პროგრამის თანაგადახდის გარეშე დასაფინ-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

## რაიონის გამგეობაში

სამეურნეო წლის პირველი ნახევარი მიიწურა. ახლა ყველას საზრუნავია მაღალი სამეურნეო მაჩვენებლებით დაამთავრონ ორი კვარტლის დავალებანი.

სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა რაიონის გამგეობაში გამართული წარმოება-ორგანიზაციათა ხელმძღვანელების თათბირი.

თათბირზე ინფორმაციებით გამოვიდნენ შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების კრიმინალური პოლიციის უფროსი ამირან კვირიკაშვილი, სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ცაგერის განყოფილების გამგე იოსებ ჩარკვიანი, საგადასახადო ინსპექციის უფროსი მერაბ ბუზაავა, ცაგერის დაზღვევის სახელმწიფო ფირმის დირექტორი ზაურ ბენიძე, № 23 საგზაო სამმართველოს უფროსი ოლეგ ჯიორგობიანი, საგზაო სამმართველოს უფროსი შაჰვან ბუზაავა.

თათბირზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს. აღინიშნა, რომ ორგანოს მუშაკთა ძალისხმევით წლეულს მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში. მნიშვნელოვნად შემცირდა სისხლის სამართლის დანაშაულობანი, გაიზარდა მომხდარ დანაშაულთა გახსნის პროცენტი. ამ დღეებში დაკავებული იქნა 2 ძებნილი, ამოღებულ იქნა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მაგრამ ყოველივე ეს არ გვაძლევს დამშვიდების უფლებას. მოხდა სოფელ ჩხუტელში გენადი [illegible]შვილის ბინის გაქურდვა, ამავე სოფელში უცნობი [illegible]ლი პირის მიერ გატაცებული იქნა ქალიშვილი, ასევე ყაჩაღური თავდასხმა მოხდა სოფელ საირმეში. რაიონში ადგილი აქვს ნარკომანიას, ხოლო ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის არცერთი ფაქტი. საჭიროა სამართალდამცავ ორგანოებს მეტი თანადგომა და დახმარება გაუწიოს ფართო საზოგადოებამ.

თათბირზე ვრცლად იყო საუბარი ბიუჯეტის 6 თვის დავალების შესრულების, პენსიების, დახმარებების, ხელფასების დავალიანებების გაცემის, დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულების გადახდის, ცაგერი-წყალტუბოს, ცაგერი-ალპანის საავტომობილო გზების კეთილმოწყობის, სტიქიისაგან დაზიანებული ორბელი—ლაშიჭალის საავტომობილო გზის, შეიძლება ითქვას ხელახლა გაყვანის, ღვირიში—ნაკურალეშის, ალვი—ნაკურალეშის, ლასურიაშის, სანორჩის, ზარაგულის და სხვა შიდა სასოფლო გზების კეთილმოწყობის, სოფელ ლუხვანოში საფოსტო განყოფილების გაუქმების მიზანშეუწონლობის საკითხებზე.

თათბირის მუშაობა შეაჯამა რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ კარლო კვირიკაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იმსჯელეს... მთავრობის დონეზე

(დასასრული)

ანსებლად ადგილობრივი შემოსავლებიდან დამატებით გამოიყო 24600 ლარი. ეს კი ნიშნავს, რომ პრაქტიკულად ყველა სასწრაფო, სიცოცხლისთვის საშიში დაავადებების მკურნალობა სტაციონარის პირობებში იქნება უფასო. ამასთან შარშან რაიონში რაიონის გამგეობის ინიციატივით დაიწყო ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევის პრინციპზე სამედიცინო სამსახურის გადაყვანისათვის მუშაობა. თითქმის ყველა სოფელში ჩატარდა კრებები, ახსნა-განმარტებითი მუშაობა და უკვე მოსახლეობის 90 პროცენტი უჭერს მხარს აღნიშნულ ინიციატივას. ყველა საკრებულოში შეიქმნა სპეცსახსრების ფონდები. შემუშავდა სოფლის საკრებულოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური ფონდის დებულება, რომელიც გამოქვეყნდა რაიონულ გაზეთში. რამდენიმე ექიმმა უკვე გამოთქვა სურვილი იმუშაოს სოფლის ექიმად, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების საქმეს.

ჯანმრთელობის დაცვის რეფორმის მიმდინარეობისა და წამოჭრილი პრობლემების დაძლევის გზებსა და საშუალებებზე ვრცლად ისაუბრა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ბატონმა ავთანდილ ჯორბენაძემ. მან თათბირის მონაწილეებს დეტალურად გააცნო მთიან რეგიონებში ჯანმრთელობის რეფორმის გასათვალისწინებელი ღონისძიებები, მშობიარობის დროს თანაგადასახდის გაუქმების და სხვა დაავადებების მკურნალობისას თანაგადასახდით გადასახდელი თანხის რაოდენობის შემცირებისა და 2-3 ამბულატორიის სახელმწიფო დაფინანსებაზე აყვანის შესახებ. ამასთან ბატონმა ა. ჯორბენაძემ დახმარება აღუთქვა მოქალაქეებს მკურნალობაში. ყურადღება გაამახვილა ჩიყვით დაავადებისა და მისი პროფილაქტიკის საქმეში იოდიზირებული მარილით რეგიონის მომარაგებაზე. თათბირის მონაწილეთ ესაუბრა მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ქ. ცაგერში მშენებარე დედათა და ბავშვთა დიაგნოსტიკური ცენტრის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ რაიონში ჯანმრთელობის დაცვისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. აღინიშნა, რომ ასეთი დიაგნოსტიკური ცენტრი ქვეყანაში შენდება პირველი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მხარის ალორძინებისთვის და ჯანმრთელობის დაცვის თანამედროვე დონეზე განვითარებისთვის.

ამასთან ბატონმა მინისტრმა მოიწონა რაიონის გამგეობის ინიციატივა რაიონში ჯანმ[illegible] მუნი[illegible] შექმნის ცენტრი და ბიუჯეტის ჭარბი შემოსავლებიდან სტაციონარული მკურნალობის დაფინანსება და ავადმყოფთა განთავისუფლება თანაგადასახდის მძიმე ტვირთისგან.

თათბირზე ყველა გამომსვლელმა და თათბირის მონაწილეებმა მადლობა გადაუხადეს სტუმრებს რაიონში მობრძანებისთვის. ჯანმრთელობის სამინისტროს, ბატონ მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს, სამხარეო ადმინისტრაციას, პრეზიდენტის რწმუნებულს რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ბატონ თედო ისაკაძეს ქ. ცაგერში დედათა და ბავშვთა დიაგნოსტიკური ცენტრის მშენებლობისა და გახსნისთვის.

# ანტიმონოპოლიური სამსახური ხალხის სამსახურში

მოსახლეობის ფართო მასები ინფორმირებული არიან საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნის თაობაზე. საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 მარტის № 137 ბრძანებულებით დამტკიცდა საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის დებულება და სტრუქტურა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა და დამტკიცდა „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო ანტიმონოპოლიური სამსახური".

აღნიშნული სამსახურის მეშვეობით მოხდება მხარეში ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განხორციელება, კონკურენციის განვითარებისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნა და დაცვა, მონოპოლიური საქმიანობის აღკვეთა, მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება და სარეკლამო საქმიანობის რეგულირება.

სამსახური ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის საფუძველზე უფლებამოსილია განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი ვაჭრობის, კომუნალური, საყოფაცხოვრებო, ვეტერინარული, ავტოსატრანსპორტო, კავშირგაბმულობის, კინოვიდეო მომსახურებისა და სხვა დარგებში.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში ანტიმონოპოლიური საქმიანობის პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა წარმართვისა და „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" კანონის ამოქმედების აუცილებლობის საქმიანობის ნორმალურად წარმართვისათვის შეიქმნა კომისია მხარის ანტიმონოპოლიურ სამსახურთან რეგიონის გამგეობების (ამბროლაური, ონი, ცაგერი, ლენტეხი) წარმომადგენლობით.

საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში ბატონი თედო ისაკაძის გახკარგულებით კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია სამხარეო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი. კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ შესაბამისი რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ეკონომიკური სამსახურის უფროსი, ხოლო წევრებად შესაბამისად სასამართლოს თავმჯდომარე, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების, საგადასახადოს, სოფლის მეურნეობისა და სურსათის, კავშირგაბმულობის, საფოსტო განყოფილებისა და ტრანსპორტის სამსახურის უფროსები, სახელმწიფო სანიტარული სამსახურის მთავარი ექიმი, საბაჟო დეპარტამენტისა და რაიკოოპერატივის ხელმძღვანელები.

კომისია რაიონებში განიხილავს შემოწმების შედეგად დარგების მიხედვით გამოვლენილ მდგომარეობას და დასახავს კონკრეტულ ღონისძიებებს არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის. იბრძოლებს „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" კანონის ნორმალურად წარმართვისა და მისი ცხოვრებაში მიზანმიმართულებით განხორციელებისათვის.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო ანტიმონოპოლიური სამსახურის ადმინისტრაციული ერთეული ფუნქციონირებს შემდეგ მისამართზე:

ამბროლაური, თამარ მეფის ქ. № 1. ტელეფონი 2-12-41.

**გია გურგენიძე,**
**რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის მოადგილე.**

გვეკითხებიან,          ვუპასუხებთ

# ვინ რას იხდის

კითხვა: დაიბეგრება თუ არა დღგ-ით სამედიცინო აპარატურის მონტაჟი, გამართვა და რემონტი?

პასუხი: დაიბეგრება.

* * *

კითხვა: რა წესით დაიბეგრება დღგ-ით საწარმოებში დღგ-ით შეძენილი ფქვილის და პურის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი?

პასუხი: სავაჭრო საწარმოებში დღგ-ით შეძენილი ფქვილისა და პურის რეალიზაციისას დაიბეგრება მათი რეალიზაციის და შეძენის ფასებს შორის სხვაობა 16,09 პროცენტის ოდენობით. აღნიშნული წესი ძალაშია 1997 წლის 27.02-დან.

* * *

კითხვა: დაიბეგრება თუ არა დღგ-ით ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსებული სამუშაო?

პასუხი: ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსებული სამუშაოები დაიბეგრება დღგ-ით, თუ დაფინანსებაში გათვალისწინებულია გადასახადის თანხა.

კითხვა: ვრცელდება თუ არა შეღავათები მოქალაქეზე (ფიზიკურ პირზე), რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქციას აწარმოებს იჯარით ან კვეიჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე და ახდენს მის რეალიზაციას?

პასუხი: ვინაიდან იჯარით ან ქვეიჯარით გაცემული მიწის ფართობი პირად მეურნეობად არ ითვლება, მასზე საგადასახადო შეღავათები არ ვრცელდება და მიღებული პროდუქციის რეალიზაციის შემთხვევაში დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით.

* * *

კითხვა: ვინ ითვლება სამედიცინო გადასახადის გადამხდელად?

პასუხი: სამედიცინო გადასახადის გადამხდელად ითვლებიან საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული ყველა სახის იურიდიული პირები განურჩევლად საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და ყველა კატეგორიის დასაქმებული მოქალაქე, მათ შორის შტატგარეშე, სეზონურ-დროებით, შეთავსებით სამუშაოზე, აგრეთვე სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებით და ერთჯერად, მოკლევადიან სამუშაოზე დასაქმებული პირები.

* * *

კითხვა: რა წესით გადაიხდის სამედიცინო გადასახადს ფიზიკური პირი?

პასუხი: სამედიცინო გადასახადი მოქალაქეებს ეკავებათ საშემოსავლო წესით დასაბეგრი შემოსავლის მიღებისთანავე და იგი ცენტრალიზებულად გადაირიცხება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდში სხვა სავალდებულო გადასახადებთან ერთად.

არაძირითად სამუშაო ადგილას შეთავსებით ან დროებით მომუშავეებს სამედიცინო გადასახადი დაეკავებათ ხელფასის (შემოსავლის) გაცემის ადგილას.

# ჭეშმარიტების დასაცავად

**„საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის 20 მაისის სხდომამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ქვეყანაში. მისმა განჩინებამ დიდ-პატარა დააინტერესა. გაუგებარია რატომ დატოვა საქართველოს ეკლესიამ ეკლესიათა მსოფლიო საბჭო ან რატომ განკვეთა სინოდმა ის მღვდლები, რომლებიც ამას მოითხოვდნენ?!"**

**რედაქციაში შემოსული წერილიდან.**

1997 წლის 20 მაისი მართლაც ძალზე მნიშვნელოვანი დღეა საქართველოს ეკლესიისათვის. ამ დღეს წმიდა სინოდმა განაჩინა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გამოსვლა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან და ევროპის ეკლესიათა კონფერენციიდან, რომელთა წევრი იყო იგი შესაბამისად 1962 და 1979 წწ-დან. სწორედ ამ ორგანიზაციებში მონაწილეობა იყო საბაბი იმ განხეთქილებისა, რომლის შემოტანაც სცადა ეკლესიაში 12 კაციანმა ჯგუფმა, მღვდელმსახურთა და საერო პირთა შემადგენლობით. ეს ადამიანები ადანაშაულებდნენ საქართველოს საპატრიარქოს მწვალებლობაში, რაც მათი აზრით მწვალებლებთან ერთიანობაში გამოიხატება. ამასვე ასახელებენ ისინი საქართველოს პატრიარქთან და სხვა მართლმადიდებელ ეკლესიასთან ევქარისტული კავშირის გაწყვეტის მიზეზად.

გაუთვითცნობიერებელი კაცისთვის აქ მართლაც ბევრი რამაა გაუგებარი და ალოგიკური. როგორია სინამდვილეში საქმის ვითარება?

ეკუმენური მოძრაობა (ბერძნული სიტყვა ეკუმენე — ბინადრობას, დასახლებას ნიშნავს) მსოფლიო საეკლესიო მოძრაობაა, რომლის მიზანია ყველა ქრისტიანული ეკლესიის გაერთიანება. იგი ჩაისახა მე-19 საუკუნის ბოლოს, ხოლო 1948 წელს შეიქმნა პროტესტანტული და მართლმადიდებელი ეკლესიების მსოფლიო გაერთიანება — ეკლესიათა მსოფ-

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ლეჩხუმის ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათებისათვის

დავით კოპალიანის წერილების ბეჭდვა რუბრიკით „ლეჩხუმის ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათებისათვის“ შარშან დაიწყო გაზეთ „თაკვერში“, სადაც გამოქვეყნდა ორი წერილი. ამჟამად მის ბეჭდვას განაგრძობს გაზეთი „ლეჩხუმი“.

# «ცაგერის მაცხოვარი»

# და «ღმრთისმშობელი ყრმით» ცაგერის სახელოსნოში შეიქმნა

XI საუკუნის საქართველოში ქრისტიანული კულტურისა და განათლების ბევრი მძლავრი კერა არსებობდა, მათ რიცხვში შედიოდა ცაგერის საეპისკოპოსო კათედრალი, რომელიც იმ დროს წარმოადგენდა ლეჩხუმისა და სვანეთის სასულიერო-საეკლესიო ცენტრს. XI საუკუნიდან ჩვენში მძლავრად განვითარდა ხელოვნების დარგები, მათ შორის მხატვრობა და ჭედურობა. ცნობილი მეცნიერი შალვა ამირანაშვილი მონოგრაფიაში „ბექა ოპიზარი“ დაბეჯითებით გამოთქვამს აზრს შუა საუკუნეების საქართველოში რამდენიმე საოქრომჭედლო სკოლისა და სახელოსნოს არსებობის შესახებ. მისი აზრით, ცაგერის სახელოსნოში შეიქმნა ჭედური ხელოვნების უნიკალური ნიმუშები „ცაგერის მაცხოვარი“, „ღმრთისმშობელი ჩვილით“ და სხვა, რომლებიც დღეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდის საგამოფენო დარბაზებს ამშვენებენ.

დასანანია, რომ საქართველოსთვის ოქროს ხანაში (XI—XII საუკუნ.) ცალკე ლეჩხუმის შესახებ წერილობით წყაროებში თითქმის არაფერია ნათქვამი, მაგრამ ზემოთ მოტანილი მასალა მაინც ბევრის მთქმელია მაშინდელი ლეჩხუმის კულტურის საერთო დონეზე.

მონღოლების შემოსევისა და ბატონობის პერიოდში საქართველო გავერანდა. ხალხს სანახევროდ ტყეებსა და გამოქვაბულებში უხდებოდა ცხოვრება. დიდი შრომით შექმნილი მრავალი ხუროთმოძღვრული ძეგლი დაინგრა. ცეცხლს მიეცა ბევრი ძვირფასი ხელთნაწერი, მოიშალა ქრისტიანული ეკლესია და მასთან არსებული სამონასტრო სკოლები. ნგრევას და განადგურებას შედარებით გადაურჩა დასავლეთ საქართველოს მთიანი რაიონები. მიუხედავად ამისა, ბარის დაცემის გავლენით, საეკლესიო კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა მთაშიც გაიყინა. და მაინც ბართან შედარებით ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა მოსახლეობა. მონღოლების მიერ ჩატარებული აღწერის მიხედვით მე-13 საუკუნის ლეჩხუმში ცხოვრობდა დაახლოებით 4050 კომლი 20850 სულით. პროფესორ ს. კაკაბაძის გამოანგარიშებით კი მე-16 საუკუნის ლეჩხუმში იმდენივე კომლია, რამდენიც მე-13 საუკუნეში.

მე-13 საუკუნიდან ვიდრე მე-19 საუკუნის პირველ ნახევრამდე ლეჩხუმში სტაბილური იყო მოსახლეობა, რასაც ხელი შეუწყო მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ. მხარე ნაკლებად განიცდიდა მტრის შემოსევას, არ იყო მიგრაცია, პირიქით უნდა ვივარაუდოთ, რომ ძნელბედობის დროს ბარის მოსახლეობა თავს აფარებდა მთას.

გვიან შუა საუკუნეებში ლეჩხუმს ბატონყმურ-ნატურალური, მაგრამ მთის კუთხეებთან შედარებით მშვენივრად განვითარებული მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა ჰქონდა. ლეჩხუმში მიწათმოქმედება, როგორც წინა წერილში ითქვა, უძველესი დარგია. შუა საუკუნეებში განსაკუთრებით აღსანიშნავია ხორბლის სახეობათა სიმრავლე, ენდემურობა და ხარისხი. მოჰყავდათ საქვეყნოდ ცნობილი ენდემური ჯიშები: მახა და ზანდური. დოლის პური, იფქლი, ხულუგო, ქერი, ჭვავი და სხვ. თესავდნენ აგრეთვე ლობიოს, მუხუდოს, ცერცვს, ღომის ღომს. სიმინდი ჩვენთან მე-17 საუკუნიდან არის ცნობილი.

დასავლეთ საქართველოში ლეჩხუმს, რაჭასთან ერთად, სხვა კუთხეებისგან განსხვავებით პურეული ჯიშებისა და განსაკუთრებით მევენახეობისათვის განსხვავებული და მეტად ხელსაყრელი მიკროკლიმატი და ნიადაგური საფარი გააჩნია. ამან განაპირობა, რომ ხორბალი და ვაზი ლეჩხუმისთვის უძველესი კულტურებია.

ივ. ჯავახიშვილის ნაშრომში „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“ დასახელებული და დახასიათებულია წინა საუკუნეებში ლეჩხუმში გავრცელებული ვაზის ჯიშები, რომლებიც ღვინის ფერის მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა.

შავი და წითელი ჯიშები: ყორნისთვალა, საფერავი, სამაჭრე, ოჯალეში, ალექსანდროული, შავი კაპიტონი, ადახასური, აფხაზური, უსახელოური, ღორათანა, ნაგუთნოული, დამპალა, მური, მარბაული, საირმული, დაქცეული, ოყურეშული.

თეთრი ჯიშები: რქაწითელი, ხიხვი, ფაჩხატა, დიდტევანა, უწყვეტი, ყუნწმაგარა, თითა, მწვანე, ოქრიბული, კახური, თეთრა, ალექსანდროული თეთრი, თეთრიწმინდა, ბერხული, ორხული, ლარსული, ტოჭე. ამათთან სახელოვანი მეცნიერი ასახელებს გაბაშას, ცხეროს, ცაცხიას, ქადაურს, რომელთა ფერი დაუდგენელია.

ლეჩხუმისთვის ენდემურ ჯიშებად მიჩნეულია ოყურეშული, საირმულა, ორხულა და უსახელოური.

ლეჩხუმი, როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, მეზობელი რაიონებიდან გამოირჩეოდა არამარტო ვაზის ენდემური ჯიშების არსებობით, არამედ ამ კუთხეში გავრცელებული ვაზის სახეობათა სიმრავლით.

ლეჩხუმისათვის უძველესი დროიდან დამახასიათებელი იყო და შუა საუკუნეებში მეტად განვითარდა მებაღეობა, მესაქონლეობა და მეფუტკრეობა.

სარწმუნო წყაროებიდან ირკვევა, რომ გვიან შუა საუკუნეებში, როდესაც საქართველოს ყოველმხრივ უჭირდა, მისი ერთ-ერთი კუთხე—ლეჩხუმი თავს შედარებით ნორმალურად გრძნობდა.

მე-17 საუკუნის ბოლოდან საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას ერთგვარი წინსვლა დაეტყო და განათლებისა და კულტურის საქმეც აღმავლობის გზას დაადგა განსაკუთრებით აღსანიშნავია მე-18 საუკუნეში ვახტანგ მეექვსის და ერეკლე II მეფობის პერიოდი. ეკლესია-მონასტრებში აღდგა და განახლდა სწავლა. საეკლესიო-სამონასტრო სკოლები ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში არსებობდნენ და საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც განაგრძობდნენ მუშაობას. საქართველოში ასეთი სკოლები იყო სიონის, ანჩისხატის, მეტეხის, გელათის, ცაგერის, მანგლისის (საარქივო მასალებიდან—დ.კ.). ლეჩხუმში, ცაგერის გარდა, იმ დროს სამონასტრო-საეკლესიო სკოლები არსებობდნენ ნამარნევის, საირმის, დღნორისის მონასტრებთან.

იმ დროს, როგორც მთელ საქართველოში, ლეჩხუმშიც წინ წავიდა მწერლობა და მწიგნობრობა. მუშაობა გაიშალა არა მხოლოდ მეფეთა, არამედ მთავართა, ერისთავთა სასახლეებში, მონასტრებსა და კათედრალურ ტაძრებში (გელათი, ცაიში, ბედია, ცაგერი, შემოქმედი). მდიდარი წიგნსაცავები შეიქმნა ვანის, მღვიმის, უდაბნოს, ლაბეჭინის (ლეჩხუმი), საირმის (ლეჩხუმი) და სხვ. მონასტრებში (ლ. მენაბდე „ძველი ქართული მწერლობის კერები“ 1962 გვ. 575).

ცაგერის კათედრალმა თავის დროზე კარგი კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციები შექმნა. აქტიური საგანმანათლებლო კერიდან მე-18 საუკუნეში და მე-19 საუკუნის დამდეგის მოღვაწეთა შორის ცნობილია გრიგოლ ცაგერელი (მე-18 საუკუნე), [illegible] დაკვეთით ნიკოლოზ ჩხატარაძემ გადაწერა „თვენი“. ანტონ ცაგერელი ([illegible]დიდელი), იოანე ცაგერელი (ძე კაცია დადიანის), ნიკოლოზ ბაბუნია და სხვა. პროფესორი ლ. მენაბდე აღნიშნავს: „ცაგერის კათედრალს ჰქონდა მდიდარი წიგნსაცავი, აქედან მოღწეულია არაერთი საგულისხმო ხელთნაწერი“. საკმაოდ მდიდარი წიგნთსაცავები ყოფილა ლეჩხუმის სხვა სავანეებში, კერძოდ, ლაბეჭინასა და ნამარნევში (ჯონოულის ხეობა).

**დ. კოპალიანი,**
**რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზეთი „თაკვერი“ № 3,4, 1996 წელი.**

# ჭეშმარიტების დასაცავად

(დასასრული)

ლიო საბჭო. ამ მოძრაობის პოპულარიზატორთა ამოცანაა ყველა ქრისტიანული აღმსარებლობის შერწყმა ერთ რელიგიად. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ამით აღასრულებდნენ მაცხოვრის სიტყვებს: იქნება ერთი სამწყსო და ერთი მწყემსი (იოანე 10,16). მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, მათ გადაუწყვეტიათ შექმნან საერთო ეკლესია ჭეშმარიტების უარყოფის ხარჯზე. ცდილობენ რა შეაერთონ შეუერთებელი, სიცრუე სიმართლესთან, ტყუილი ჭეშმარიტებასთან. ეს აჩვენა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მრავალწლიანმა არსებობამ, რომლის შიგნითაც დისკუსიებს ფაქტობრივად შედეგი არ მოჰყოლია. ერთადერთი მიზეზი და მიზანი, რისთვისაც საქართველოს ეკლესია უარს არ ამბობს ამ საბჭოს წევრობაზე, იყო სწორედ დისკუსიისა და მართლმადიდებლობის ქადაგების შესაძლებლობა. მწვალებელ პროტესტანტებთან თანალოცვაზე (რაც ნამდვილად მწვალებლობაა) კი, ჩვენს პატრიარქს არასდროს მიუცია თანხმობა. ამის დასტურია სინოდის ბოლო სხდომის განჩინება, რაც გამოიწვია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მიერ საკუთარი საქმიანობისთვის ეკლესიოლოგიური ხასიათის მინიჭების მოთხოვნამ. სწორედ ამას არ დაეთანხმა საქართველოს საპატრიარქო და საერთოდ უარი თქვა მის წევრობაზე. ეს გადაწყვეტილება მწიფდებოდა უკვე 2 წელია, მას შემდეგ რაც ეკლესიათა მსოფლიო საბჭომ ამგვარი მოთხოვნების წამოყენება დაიწყო.

ამ გადაწყვეტილების მიხედვით საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა მოსპო განხეთქილების საბაბი, რაც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობის საწინდარია.

რაც შეეხება ზემოთხსენებულ 12 პიროვნებას, წმიდა სინოდს ისინი არ განუკვეთია ეკლესიიდან. მღვდელმსახურებს აეკრძალათ მღვდელმოქმედება. მონასტრების წინამძღვრები განთავისუფლდნენ წინამძღვრობიდან, ხოლო დანარჩენებს აეკრძალათ წმიდა ზიარების მიღება. ეს სასჯელი დაედოთ იმ განხეთქილებისათვის (სქიზმა), რაც მათ შეიტანეს ეკლესიაში (გაწყვიტეს ევქარისტული კავშირი პატრიარქთან). სინოდი მოუწოდებს ამ ადამიანებს სინანულისკენ, რაც იმას ნიშნავს; რომ მონანიების შემთხვევაში მათ სასჯელი მოეხსნებათ.

რაც შეეხება ჩვენი ეკლესიის იზოლაციის საშიშროებას, რაც ვითომდა სინოდის ამ გადაწყვეტილებამ გამოიწვია, სინამდვილეში არ არსებობს. ურთიერთობა მართლმადიდებელ ეკლესიებთან ძველებურად გაგრძელდება.

# კრიმინალური ქრონიკა

1997 წლის 28 მაისს სამი ბოროტმოქმედი თავს დაესხა სოფელ საირმეში მცხოვრებ ოთარ ხუციძის ოჯახს, ფიზიკური ზიანი და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ოჯახის უფროსს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო სამუშაოები დამნაშავეთა დაკავების მიზნით.

* * *

წლიულს 7 ივნისს გაქურდული იქნა სოფელ ჩხუტელში მცხოვრები გენადი გრიშას ძე კვირიკაშვილის საცხოვრებელი სახლი. ბოროტმოქმედებმა ოჯახიდან წაიღეს სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

პოლიციის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად დაკავებული იქნენ დანაშაულში ეჭვმიტანილები სოფელ ჩხუტელში მცხოვრებნი გოჩა რეზოს ძე სილაგაძე, სულხან ჯემალის ძე ქარსელაძე და სოფელ ორბელში მცხოვრები მირზა შურმანის ძე სილაგაძე, რომლებმაც აღიარეს ჩადენილი დანაშაული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოკა... ფარავნის ტბის უძირო სილურჯე... საქართველოს ემბაზი და მისივე დიდი ტკივილი. აქ, ფარავნის ტბასთან, დაიწყო წმიდა ნინოს მოციქულებრივი მოღვაწეობა, აქ დაირწა საქართველოს ქრისტიანობის აკვანი. და დღეს ამ მხარეს სწორედ წმიდა ნინოს ერთგულ მიმდევართა გამო ჰქვია საქართველო. იმ 7 თუ 9 ქართველი მონოზვნის წყალობით დგას აქ ქართულ-

ცაგერისა და სვანეთის ეპისკოპოსის კურთხევით დაქარგეს მორწმუნეებმა მუზეუმიდან გამოტანილი, ღვთის მადლით დაწვას გადარჩენილი ძველი საეპარქიო დროშის მიხედვით. ეს ბაირაღი ახლაც წინ მიუძღვის წმიდა ნინოს მისიონერული გზის მონაწილეებს, რომლებიც განაგრძობენ მოგზაურობას სამცხე-ჯავახეთში და 13 ივლისს სვეტიცხოვლობისას ჩავლენ მცხეთაში.

ძალით, ნივთებითა და მასალით თუ თანხით. მხარში დაუდგეს ლეჩხუმში ბერმონაზვნობის ინსტიტუტის აღდგენის ამ მახარობელს.

* * *

14 ივნისი... ხვამლობა. ხვამლის წმიდა გიორგის დღესასწაული — 365-დან ერთ-ერთი. ლეჩხუმელთათვის ხნვაზე უპირატესი რა უალმატებულესი... როგორც

# ფარავნის ტბიდან ხვამლის მწვერვალამდე

## ანუ რამდენიმე ეპიზოდი მართლმადიდებლის ცხოვრებიდან

ლი ქრისტიანობის ორი კერა — დედათა და მამათა მონასტრები. განუწყვეტელი საფრთხის ქვეშ (სომეხი მოსახლეობა იმდენად აგრესიულია, რომ წყალზე წასული დედები ხშირად ქვით თავგატეხილი ბრუნდებიან მონასტერში) ეს ადამიანები აქაურობას უნარჩუნებენ ქრისტიანულ სულს. მხოლოდ წელიწადში ერთხელ, ნინოობას, მოდიან ქართველები ფარავნის ტბაზე, რათა ეზიარონ ცხოველმყოფელ მადლს. ყოველ პირველ ივნისს, წმიდა ქალწულის საქართველოში შემობრძანების დღეს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აქ აღნიშნავს დღესასწაულს. ამ დღესვე იწყება წმიდა ნინოს მისიონერული გზა, რომელშიც მორწმუნეები მონაწილეობენ. ამ დღესასწაულში წლეულს პირველად მონაწილეობდა ცაგერის მორწმუნე მრევლი. ეს შესაძლებელი გახდა რაიონის გამგებლის ბატონ კარლო კვირიკაშვილის დახმარებისა და მხარდაჭერის წყალობით, რომელმაც საწვავით უზრუნველყო სამგზავრო ავტობუსი. ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მრევლი ფოკაში ჩავიდა ეპარქიის ახალი დროშით, რომელიც

ამ მოგზაურობაში მონაწილეობს ჩვენი მრევლის 3 წარმომადგენელი, ასე რომ ლეჩხუმელთა ლოცვაც უერთდება აფხაზეთისთვის ლოცვას წმიდა ნინოს გზაზე.

* * *

ცაგერის წმიდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერი უკვე შეიძლება ჩაითვალოს რეალობად, რაკი გაუჩნდა საკუთარი ჭერი. დღემდე, 2 წლის განმავლობაში მონასტერი სხვის ბინაში იყო შეხიზნული. რაიონის გამგებლის ბატონ კარლო კვირიკაშვილის ინიციატივით მონასტერს დაეთმო საკოლმეურნეო სატყეო მეურნეობის ადმინისტრაციული შენობა თავისი ეზოთი. ასე რომ მონასტრის აღმშენებლობითი საქმიანობა გრძელდება, ამჯერად უკვე პირდაპირი მნიშვნელობით. იმისათვის, რომ აქაურობა საცხოვრებლად ივარგოს, ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. ეკლესიის მრევლი აქტიურად მონაწილეობს დასუფთავებაში, შემოღობვის და სხვა გადაუდებელ სამუშაოებში. ყველას, ვისაც სურვილი აქვს შეეწიოს მონასტერს, შეუძლია თავისი წვლილი გაიღოს მის აღმშენებლობაში, იქნება ეს ფიზიკური

ყოველთვის, ხალხმრავლობაა. უამრავი ხალხი შედგომია მწვერვალზე მდგარ პატარა ბაზილიკისკენ მიმავალ ციცაბო ბილიკებს.

... ჯგუფს წინ ღვთისმშობელი მიუძღვის ყრმით ხელში და წმიდა გიორგი. ეს ხატები ხვამლის წმიდა გიორგის ეკლესიისათვის შეუქმნიათ პარლამენტარმა ვალერი გიორგობიანმა ფერისცვალების მონასტრის ხატწერის სახელოსნოს. თბილისიდან ხვამლის მწვერვალამდე ძნელი გზა ხვამლის ეკლესიაში ამ ხატების კურთხევით დამთავრდება. მანამდე კი ყველას სურს იტვირთოს საკმაოდ მძიმე, მასიური ხატი. ყველას სურს თვითონ შეაბრძანოს იგი საკურთხეველში. ხევებში ჩაწოლილი თოვლი, იქვე, თითქოს თოვლშივე ამოსული ნაირფერი ყვავილები, ყველა დროისა, ხეზრონის მიუხედავად რომ გამოლილან და თავიანთ სურნელებას და მშვენებას უხვად აფრქვევენ ირგვლივ, ადამიანთა სამოთხე. სამოთხის ეფექტს ქმნიან. ხოლო მეუფე ნიკოლოზის (ცაგერისა და სვანეთის ეპისკოპოსი) მიერ აღვლენილი წმიდა გიორგის პარაკლისი ზეგარდმო მადლით ავსებს აქაურობას.

უკანასკნელი სასკოლო თხზულება — დებიუტი გაზეთში

# გვახსოვდეს აფხაზეთი!

გულის ფესვებში ჩაწნული მშობლიური ქვეყნის სიყვარული, ისე ჩაწნულა, ჩაქვითკირებულა, ცრემლებად მოედინება გულის სიღრმიდან. ათიათასობით ქართველი იხვეწებოდა, ათიათასობით ქართველი ეწირებოდა სამშობლოს სიყვარულს, ვილეოდით. მაგრამ არ ვკვდებოდით, რადგან ქართველები ვართ, სულით ამაყნი და მოუდრეკელნი, რადგან დავითისა და თამარის, ცოტნესა და დიმიტრეს მოდგმისანი ვართ. ვინა თქვა „თითქოს პატარა იყოს, ჩემი სამშობლო დიდების ღირსი?" ვინა თქვა, ცრემლებს ღვრისო უსაშველოდ? მართლა, რა დიდი ხარ, კაცი თვალს ვერ შემოგაწვდენს, რა უკიდეგანოდ გაგიშლია მხრები. ...მეამაყები, რომ იცოდე, როგორ მეამაყები... მეამაყები შენი დაუმონავი სულის გამო.

ჩვენი ტკივილი 9 მარტი და 9 აპრილია, ჩემო საქართველო. შენთვის ახალი ბრძოლე[illegible]. შენ უნდა გაუძლო ამ გამოცდას, რადგან თავისუფლება ყველაფერზე დიდი საღმრთო იქნება, ისევ მედგრად უნდა იბრძოლო, რადგან:

„თავისუფლება ისე არ
მოდის,
თავისუფლება ლომთა
ხვედრია".

საქართველო... ათასჯერ ნაცემი და ჯვარზე გაკრული, ათასჯერ სისხლისგან დაწრეტილი და კვლავ ფეხზე წამომდგარი, ათასჯერ ჯვარზე გაკრული, ჩაფერფლილი და ფენიქსივით აღმდგარი. რამდენი ტკივილი, რამდენი მოუშუშებელი იარა. რამდენი 9 მარტი და რამდენი 9 აპრილი, მაგრამ კვლავ ამაყი და ქედუხრელი საქართველო. ახლა კი ისევ ტკივილი, ისევ მოუშუშებელი იარა, იარა, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა თითოეული ქართველის სულში... მოურჩენელ დაღად აჩნია მრავალჭირნახულ საქართველოს დაჭრილ-დასერილ გულს აფხაზეთი. ისევ ბრძოლა... სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლა. ისევ ცრემლები... შავსანი დედები. მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, კიდევ ქართული მოუდრეკელი, ვაჟკაცური სული.

ეჰ, ჩემო საქართველო, ფრთები შეგაკვეცეს, სულში მარწუხები წაგიჭირეს, გული გაგიგლიჯეს, საყვარელი შვილი წაგართვეს...

შენ, აფხაზეთო, ჩვენო მოურჩენელო იარავ, „რა პატარა ხარ, ალბათ ცრემლს თუ ალემატები". მაგრამ ტკივილი, ტკივილი ძალზე დიდია, ტკივილი განშორებისა... მარადიული ხსოვნა ისადგურებს სულში. ხსოვნა, როგორც გაუსაძლისი ტკივილიანი მოგონება. სული გაგვიმწარეს, გული დაგვისერეს, ხორცი დაგვიფლითეს, დედა შეგვიგინეს, მაგრამ მტრების ჯიბრზე კვლავ ვცოცხლობთ, ვიბრძვით და სულით-ხორცამდე გვწამს, რომ ქართველ ერს გადაშენება არ უწერია, გვჯერა, რომ ქართული სისხლი არასოდეს დაიწრიტება.

მარად გვეხსომება აფხაზეთის სისხლიანი, ტრაგედიით აღსავსე დღეები, რა დაგვავიწყებს პირტიტველა ბიჭებს, სამშობლოს თავისუფლებისთვის დაუფიქრებლად რომ მიდიოდნენ ზვარაკად. საქართველო კი... წევს დაჭრილი ლომი, წევს და ელოდება, რას მოუტანს ახალი წლები. მდუმარედ ელოდება კაცობრიობის მომავალ ხვედრს. წევს და ელოდება სამყაროს სიახლეს, ელოდება ღვთის შეწევნას და ღვთისმშობლის მადლიერი კალთის გადაფარებას. ღმერთი არ გასწირავს მის რჩეულს. დიახ, საქართველო რჩეულია, რჩეულნი კი ცოტანი არიან ამ უსწორმასწორო წუთისოფელში.

ნათია მიქაძე.

## ხსოვნა

# ნიკოლოზ (კოლია) გოლეთიანი

მწარე ფიქრსა და მოგონებაში გავიდა ერთი წელი. მეხის გავარდნას გავდა 28 ივნისის საბედისწერო დღე, კოლია, იმ დღეს გადაიშალა შენი ცხოვრების ბოლო ფურცელი, სამუდამოდ დატოვე შენი ძვირფასი ოჯახი, ურომლისოდაც ძილშიც ვერ ისვენებდი. შენი მეგობრები და მეზობელ-ნათესავები.



კაცურად იცხოვრე 52 წელი, მთელი სიცოცხლის მანძილზე ულალატოდ, მუხლჩაუხრელად ემსახურებოდი სახალხო განათლების საქმეს, შენ დავიწყება არ გიწერია, იმდენი სითბო, მადლი და სიყვარული გაქვს დათესილი.

შენ არა მარტო ოჯახს დააკლდი, არამედ მთელ შენს სამეგობროს, ადრე გაგიმეტა განგებამ, მაგრამ ნუგეშად ეს გვაქვს, „ვინც ღმერთს უყვარს, ისინი ადრე კვდებიან".

ნათელში იყავ ლამაზი სულის კაცურო კაცო, მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი ლეჩხუმის მიწა.

ოჯახი და მეგობრები.

---

რაისაავადმყოფოს ბავშვთა განყოფილების მუშაკები თანაუგრძნობენ ლილი კენჭაძის მამის ზოსიმე კენჭაძის გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე შოთა, შვილები ვაცო, ემზარი, ავთო, რძლები ცაცუ, დოდო, მზია, ლელა, ინგა, მული ჟენია, სიძე ამირან ზრიგბაძე, შვილიშვილები გოჩა, ზურიკო, მამუკა, თამრიკო, დათო, ნინო, გიორგი, ძმისშვილები, მაზლიშვილები, მულიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფაფალა ალექსანდრეს ასული გასვიანი-მუშკუდიანი. დაკრძალვა 19 ივნისს, ხუთშაბათს, ქ. ცაგერში.

დამფუძნებელი — რედაქციის კოლექტივი

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე.

რედაქციის მისამართი: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56 ტელეფონი: 28-31.

ბეჭდავს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პოლიგრაფისტი" 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56